

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-85/ნ
2014 წლის 11 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დეპარტამენტის უფროსების დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 2 დეკემბრის N01-41/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**
მუხლი 1

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დეპარტამენტის უფროსების დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 2 დეკემბრის N01-41/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 02/12/2013, 010320040.22.035.016224) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. ამ ბრძანებაში მითითებულ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 16 დეკემბრიდან.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

ზაზა სოფრომაძე

